აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 8

05 აგვისტო 2008 წელი ქ. ბათუმი

**საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადებისა და სამდივნოს შექმნის შესახებ**

"აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რეპუბლიკის კანონის 36-ე მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტების და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 05 აგვისტოს № 7 განკარგულების საფუძველზე უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

**მუხლი 1.** გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისათვის შექმნილ №79 ბათუმის, №80 ქედის, №81 ქობულეთის, №82 შუახევის, №83 ხელვაჩაურის და №84 ხულოს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსი თითოეულ სააჩევნო ოლქში თითო ვაკანტურ თანამდებობაზე.

**მუხლი 2**. სააოლქო სარჩევნო კომისიის წევრის არჩევის კონკურსის ჩატარების წესი, პირობები და ვადები განსაზღვრულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 05 აგვისტოს №7 განკარგულებით.

**მუხლი 3.** კონკურსის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით უმაღლეს საარჩევნო კომისიაში იქმნება სამდივნო შემდეგი შემადგენლობით:

ა) ნერვისტან ფაღავა სამდივმოს უფროსი;

ბ) სოფიო ვარშალომიძე;

**მუხლი 4** სამდივნოს ზედამხედველობას გაუწევს საარჩევნო კომისიის მდივანი ქეთევან ჯიქია.

**მუხლი 5**. საკონკურსო დოკუმენტაცია სამდივნოს წარედგინება 10 სთ-დან 18 სთ-მდე.

**მუხლი 6.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი გამოქვეყნებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 7**. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

| | |
|---|---|
| კომისიის თავმჯდომარე | ა. მიქელაძე |
| კომისიის მდივანი | ქ. ჯიქია |